



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### გეგეჭკორი ივანე ბესარიონის ძე

გეგეჭკორი ივანე (კინი) ბესარიონის ძე (25. VIII. 1886, ზუგდიდი, – 1971, სოხუმი), ხალხური მომღერალი და ლოტბარი. საქართველო. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1946), 1927 დაასრულა მეაბრეშუმეობის კურსები. ერთხანს მუშაობდა ტრესტ „საქართველოს აბრეშუმის“ რწმუნებულად დამზადების დარგში (თბილისის, გორის, დუშეთისა და ბორჩალოს მაზრებში). 1917-იდან მოღვაწეობდა ქართ. ხალხ. სიმღერის გუნდებში 1924–26 იყო დას. საქართველო. სახელმწ. ეთნოგრაფიული გუნდის (დააარსა დ. ლოლუამ), 1934–38 – გალის რ-ში მის მიერვე დაარსებული ეთნოგრ. გუნდის, ხოლო 1946–56 – აფხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის ხელმძღვანელი.

გ. მრავალი საინტერესო სიმღერის ტექსტისა და მუსიკის ავტორია. მის მიერ შექმნილი და დამუშავებულია სიმღერები: „ბეჭია“, „მათეია“, „ჩაგუნა“, „სიმღერა თბილისზე“, „მარებელი“, „სიმღერა ძუკუ ლოლუაზე“ და სხვ. განსაკუთრებული ამაგი დასდო ქართ. და აფხ. სიმღერების აღორძინებისა და გავრცელების საქმეს.

ლიტ.: გ ე გ ე ჭ კ ო რ ი ვ., ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები, [წგ.] 2, თბ., 1958.

**გ. ჩხიკვაძე**

---